განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

17-18 დეკემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
16 თებერვალი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი 0421
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადიგანათლებისშესაბამისისაფეხურისსაგნის/საგნები ს/საგნობრივიჯგუფისსწავლებისუფლებისმითითება (მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისანმასწავლებლისმომ ზადებისსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტებისრაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 9/23/2011, გადაწყვეტილება N 58

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში, კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

[1]ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში:მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთადერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ჩაჩავა, ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პროფესორი, სამართლის სკოლა, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხუბულია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „უსდ“) სამართლის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. იგი შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან. სსიპ - ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტი სამართლის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 2011 წლიდან.
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება ძირითადი (სამართლის) სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების (126 კრედიტი), ძირითადი (სამართლის) სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების (60 კრედიტი), (ინგლისური) ენის კომპონენტის (24 კრედიტი), საბაზისო სავალდებულო მოდულის სასწავლო კურსებისა (12 კრედიტი) და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (18 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 17-18 დეკემბერს ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 17 დეკემბერს 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება შედგა 18 დეკემბერს 13.30-დან 14.30 მდე დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ,,ზუმის“) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.
პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
განმარტებული იქნა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, პროგრამის შემუშავებასა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.

ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.

ვიზიტის მესამე პანელში ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. შემდგომ შედგა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დამოუკიდებელ პანელებში. მომდევნო პანელების ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, ასევე პროგრამის სტუდენტებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება შედგა 18 დეკემბერს.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენაირად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

1.2 სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდირებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სწავლის ყველა შედეგი;
- რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგებთან ერთად;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რჩევები:

1.1 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია დაკონკრეტდეს პროგრამის მესამე მიზანი, რამდენადაც სამართლის საბაკალავრო პროგრამა ზოგადად კომუნიკაციას არ უნდა უზრუნველყოფდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. შესაბამისად, ისევე როგორც დარგობრივ მახასიათებელშია მოცემული (...სამართლებრივი პრობლემების...), პროგრამის მიზანშიც უნდა იქნეს სამართალთან დაკავშირებული საკითხის თაობაზე სპეციალისტთან თუ არასპეციალისთან კომუნიკაციის უნარი.

1.1 სტანდარტთან მიმართებაში -მიზანშეწონილი იქნება თუ შესრულდება საჯარო და კერძო სექტორისათვის გამოცხადებული იმ ვაკანსიებისა და მოთხოვნების ანალიზი, რომელიც სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივას ქმნის და რაც პროგრამის განვითრების კიდევ ერთ საფუძველს შექმნიდა.

1.2 სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია სამიზნე ნიშნულების გამოთვლა/დადგენის საფუძველი წარმოდგენილ იქნეს რათა სამიზნე ნიშნულების მონიტორინგის მიზნით მოპოვებული მონაცემები მიმდინარე სამიზნე ნიშნულთან დადარდეს.
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია შემუშავდეს მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც დეტალურად აისახება პროგრამის მიზნები როგორ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედგებთან.

2.2 სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია საფინანო სამართლის კურსის სილაბუსსა და თემატიკაში მეტად გამოიკვეთოს კერძო-სამართლებრივი აქცენტები, ბიუჯეტისა და საფინანსო კონტროლთან დაკავშირებული საკითხები იმ დოზით იყოს აქცენტირებული, რაც კერძო სამართლებრივი კონტექსტის საფინანსო სამართლის მიზნებისათვის არის აუცილებელი.
- სასურველია მოხდეს 6-ის ჯერადი საკრედიტო სისტემის სიღრმისეული და სათანადო დასაბუთება ან სასწავლო კომპონენტების თავისებურებების და დატვირთვის მიხედვით მათი საკრედიტო მოცულობის ინდივიდუალიზაცია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კრედიტების გაანგარიშების მარეგულირებელი, თუნდაც სარეკომენდაციო მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს დაწესებულების პერსონალს შორის საკრედიტო სისტემის მიმართ სხვადასხვა ხედვებისა და გამოყენების აღმოფხვრას და მონიტორინგის/შეფასების ეფექტური ინსტრუმენტის შექმნას;
- მიუხედავად იმისა, რომ სამართლის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით.

2.3 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლების მიზნით;

2.4 სტანდარტთან მიმართებაში - აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სულისკვეთების გათვალისწინებით სასურველი იქნება დამსაქმებლებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.

2.5 სტანდარტთან მიმართებაში - აკადემიური წერის ონლაინ პლატფორმის შესახებ სტუდენტების მეტად ინფორმირება, ასევე აღნიშნული დაკომპლექტება იურიდიული სპეციფიკის მცოდნე პირებისგან, რათა მათი უკუკავშირი რელევანტური იყოს.

2.6 სტანდარტთან მიმართებაში -სასურველია სტუდენტებმა დროულად მიიღონ უკუკავშირი, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ;

3.1 სტანდარტთან მიმართებაში -სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.

4.4 სტანდარტთან მიმართებაში -სასურველია გაიზარდოს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დაფინასებაში სასწავლო რესურსების, კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო სტატიების, სპორტული და სხვა კურიკულუმის გარეშე ღონძიებების, სტიპენდიების/შეღავათების და გაცვლითი პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი;

5.1 სტანდარტთან მიმართებაში -პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექანიზმები წარმოდგენილია, როგორიც არის კითხვარები, თუმცა, გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, ფაქტობრივად, კურსდამთავრებულებთან და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებასთნ მიმართბით არსებობს. სასურველია, სხვა მიმართულებებითც ანალოგიური მიდგომა იქნეს გამოყენებული სამომავლოდ.

5.2. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში.
- საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამაფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

5.3 სტანდარტთან მიმართებაში - სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია, რაც ასახულია პროგრამაში და შემდგომ - თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამას აქვს 4 მიზანი, საიდანაც ჩანს თუ როგორი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა მიმართული: ა) ექნება ფართო ცოდნა სამართლის არსის, ძირითადი პრინციპების, ეროვნული სისტემის თავისებურებების, ხოლო საჯარო, სისხლის, კერძო და საერთაშორისო სამართლის ძირითადი საკითხების სპეციფიკის შესახებ . ბ) შეძლებს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება ს, მათ შეფასებას და პრობლემის გადაწყეტისთვის საჭირო იურიდიული მოქმედების განსაზღვრას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;, გ) შეძლებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან შესაბამისი ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; გ) შეძლებს მოქმედებას იურისტის პროფესიული ქცევის წესებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემის გზით. მიზნებში წარმოდგენილია თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. ბუნებრივია, პროგრამის მიზნებში განსაზღრული კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება, თავისთავად ასახავს იმ წვლილს, რასაც პროგრამის კურსდამთავრებული შეიტანს საზოგადოების განვითარებაში (მისი მიღწევის შემთვევაში). პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია, რომ პროგრამის გადამუშავებას საფუძვლად დაედო ფოკუს ჯგუფთან შეხვედრაც სადაც კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრის შემდგომ შემუშავდა პროგრამის განვითარების ერთიანი გეგმა. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია (იხ. https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/samartlis-skola-654/programebi-656/samartlis-skolis-sabakalavro-programebi). ასევე, შრომის ბაზრის სრულფასოვანი ანალიზი, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის ფარგლებში, რთული განსახორციელებელია, თუმცა, კარგი იქნებოდა შესრულებულიყო საჯარო და კერძო სექტორისათვის გამოცხადებული იმ ვაკანსების და მოთხოვნების ანალიზი, რომელიც სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე

კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივას ქმნის და რაც პროგრამის განვითრების კიდევ ერთ საფუძველს შექმნიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგამის მესამე მიზანი - შეძლებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთნ შესაბამისი ზეპიორი და წერითი ფორმით კომუნიკაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით - სასურველია დაკონკრეტდეს, რამდენადაც სამართლის საბაკალავრო პროგრამა ზოგადად კომუნიკაციას არ უნდა უზრუნველყოფდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. შესაბამისად, ისევე როგორც დარგობრივ მახასიათებელშია მოცემული (...სამართლებრივი პრობლემების...), პროგრამის მიზანშიც უნდა იქნეს სამართალთან დაკავშირებული საკითხის თაობაზე სპეციალისტთან თუ არასპეციალისთან კომუნიკაციის უნარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაკონკრეტდეს პროგრამის მესამე მიზანი, რამდენადაც სამართლის საბაკალავრო პროგრამა ზოგადად კომუნიკაციას არ უნდა უზრუნველყოფდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. შესაბამისად, ისევე როგორც დარგობრივ მახასიათებელშია მოცემული (...სამართლებრივი პრობლემების...), პროგრამის მიზანშიც უნდა იქნეს სამართალთან დაკავშირებული საკითხის თაობაზე სპეციალისტთან თუ არასპეციალისთან კომუნიკაციის. • მიზანშეწონილი იქნება თუ შესრულდება საჯარო და კერძო სექტორისათვის გამოცხადებული იმ ვაკანსიებისა და მოთხოვნების ანალიზი, რომელიც სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივას ქმნის და რაც პროგრამის განვითრების კიდევ ერთ საფუძველს შექმნიდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამას გაწერილი აქვს 15 სწავლის შედეგები, თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკა მას არ ერთვის თან, რაც იმ ასპექტების შეფასებას ართულებს, რომელიც პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თანხვედრას ადგენს. შესაბამისად, სასურველია, წარმოდგენილ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა.
პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმი - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტით, წარმოდგენილია, რაც შედეგების მიღწევის შეფასების შესაძლებლობის საფუძველს ქმნის, თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგები დასაკონკრეტებელია პროგრამის მიზნების შესაბამისად, რამდენადაც პროგრამის სწავლის შედეგებში გადმოტანილია სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები. ბუნებრივია, სამართლის დარგობრივი მახასიათებელი მოთხოვნის გარკვეულ მინიმუმს აწესებს, მაგრამ პროგრამა, თავის შედეგებში, ერთი ერთში არ უნდა იმეორებდეს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების. შედეგად, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად გადაიხედოს. აღნიშნული ასევე ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის უკეთ გაწერასა და პრაქტიკულ გამოყენებასაც, რაც, თავის მხრივ, თვითშეფასების ანგარიშშიც არის დაგეგმილი აქტივობების ნაწილში წარმოდგენილი.
პროგრამის სასწავლო ბადეში განსაზღვრული სასწავლო კურსები იძლევა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის მომდევნო საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამას განსაზღრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს არაპირაპირი და პირდაპირი შეფასების მეთოდებს, თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და წარმოდგენილი მექანიზმი ერთგვარ შეუსაბამობაშია. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზშმი (გვ. 3) პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების დროდ აღებულია ერთი სრული ციკლის გასვლა (მე-5 სასწავლო წელი) და შემდგომ ყოველი მომდევნო წელი, თუმცა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული აქტივობით ამა თუ იმ სასწავლო კურსის შედეგის მიღწევის შეფასებას სემესტრულად, რაც, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, დაკავშირებულია პროგრამის სწავლის კონკრეტულ შედეგთან. შესაბამისად,

შეფასება ხორციელდება სემესტრის განმავლობაში და არა სრული ციკლის დასრულების შემდგომ. შედეგად, სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ამ მიმართულებით გადაიხედოს, დაიხვეწოს და შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება/გაზომვის უკეთესს სტრუქტურულ მექანიზმს ჩამოაყალიბებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემაში წარმოდგენილია სამიზნე ნიშნულები. კარგი იქნება, თუ სამიზნე ნიშნულების გამოთვლა/დადგენის საფუძველიც იქნება წარმოდგენილი, რადგან, სამოავლოდ, სამიზნე ნიშნულების მონიტორინგის მიზნით მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგები სწორედ მიმდინარე სამიზნე ნიშნულთან უნდა დადარდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სწავლის შედეგები; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და მექანიზმი; • თვითშეფასების ანგარიში; • სამიზნე ნიშნულები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის სწავლის ყველა შედეგი; • რეკომენდირებულია რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა გადაიხედოს სწავლის შედეგებთან ერთად;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სამიზნე ნიშნულების გამოთვლა/დადგენის საფუძველი წარმოდგენილ იქნეს რათა სამიზნე ნიშნულების მონიტორინგის მიზნით მოპოვებული მონაცემები მიმდინარე სამიზნე ნიშნულთან დადარდეს. • პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია შემუშავდეს მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც დეტალურად აისახება პროგრამის მიზნები როგორ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედგებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია: 1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამაზე ირიცხებიან სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე ის პირები, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად მოიპოვეს უსდ-ს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლება. 2. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე შესაძლებელია ჩაირიცხონ: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ან სრული ზოგადი განათლების ექვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში; ბ) საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება ან სრული ზოგადი განათლების ექვივალენტური განათლება მიიღეს უცხო ქვეყანაში და ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში. გ)უცხო

ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც სწავლობენ/ სწავლობდნენ და მიღებული აქვთკრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3. მობილობის წესით, რაც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

დაშვების წინაპირობები სრულად არის გადმოცემული საბაკალავრო პროგრამაში და ხელმისაწვდომია საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამა;
- ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს (*დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 1.2. სტანდარტი*), პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს (*დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 2.1. სტანდარტი*) , პროგრამის მოცულობას, სწავლა-სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს, პროგრამის სტრუქტურას, სასწავლო გეგმას, სასწავლო რესურსს, სტუდენტის შეფასებას, კურიკულუმის რუკას, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკას, ასევე პროგრამის აკრედიტაციისა და პროგრამის განახლების თარიღებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 EGTS კრედიტს, წელიწადში - 60 კრედიტს, ხოლო სემესტრში-30 კრედიტს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 4 სასწავლო წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. პროგრამა შედგება ძირითადი (სამართლის) სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების (126 კრედიტი), ძირითადი (სამართლის) სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების (60 კრედიტი), (ინგლისური) ენის კომპონენტის (24 კრედიტი), საბაზისო სავალდებულო მოდულის სასწავლო კურსებისა (12 კრედიტი) და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (18 კრედიტი). პროგრამაში შემავალი კომპონენტების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია. სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკა გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას. პროგრამის კომპონენტებში ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია უახლესი სასწავლო მასალები და რესურსები. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ მათზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის განსაზღვრული პროგრამის სტრუქტურაში. პროგრამის კომპონენტები ებმის ერთმანეთს, მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაზე, ხოლო შემდგომ

კომპონენტზე დაშვების წინაპირობების არსებობა უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულად მიღების შესაძლებლობას.
პროგრამის მიზნები, შედეგები, სემესტრული გეგმა განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით. სამართლის სკოლა უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს; პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა);

ინგლისური ენა
ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 24 კრედიტის მოცულობით. წარმოდგენილი და შეთავაზებულია ინგლისური ენის კურსები A0 დონიდან C1-2 (ყოველი კურსი 6 კრედიტის ფარგლებში) ჩათვლით. თავისუფალი არჩევის ბლოკში შეთავაზებულია ასევე სამართლებრივი ინგლისური.

აკადემიური მუშაობის ტექნიკა
კურსი სავალდებულოა და ითვალისწინებ 6 კრედიტის კურსის მიზანია, სტუდენტს განუვითაროს ეფექტური აკადემიური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარები. ეს გულისხმობს აკადემიური წერის, აგრეთვე, პრეზენტაციის მომზადება-წარდგენის ძირითად ტექნიკებს, სანდო ინფორმაციის მოძიება-დამუშავების სტრატეგიებს, ანალიზსა და არგუმენტირებულ მსჯელობას.
შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 1
კურსი სავალდებულოა და ითვალისწინებს 6 კრედიტის კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ის იდეები და მიმდინარეობები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს თანამედროვე მსოფლიო და ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. სტუდენტები სემესტრის მანძილზე გაეცნობიან 11 ავტორს.
სამართლი სპეციალობის სავალდებულო კურსები 126 კრედიტს მოიცავს

6 კრედიტი - სამართლის შესავალი კურსი
30 კრედიტი - საჯარო სამართალის ბლოკი (სავალდებულო)
54 კრედიტი - კერძო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)
30 კრედიტი -სისხლის სამართლის ბლოკი (სავალდებულო)
6 კრედიტი - საერთაშორისო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)

საჯარო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი.
საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები შეთავაზებულია 126 კრედიტის ფარგლებში.
კერძო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 54 კრედიტი.
კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების

კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები შეთავაზებულია 102 კრედიტის ფარგლებში.
კერძო სამართლის არჩევით ბლოკში შემოთავაზებულია საფინანო სამართლის კურსი, რომლის მიზანია „სტუდენტს მისცეს ცოდნა საფინანსო სამართლის ძირითადი დებულებებისა და ცნებების, საფინანსო სფეროში მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, საფინანსო სისტემის ძირითადი რგოლების სამართლებრივი მდგომარეობის, საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობების, საფინანსო კონტროლის თეორიული ასპექტების, საბიუჯეტო სამართლის ზოგადი დებულებების, ქვეყანაში არსებული ძირითადი გადასახადების, სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების, მონეტარული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი გზების და ინსტრუმენტების, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე კონტროლის განხორციელების საშულებების შესახებ.“ საასურველია კურსის თემატიკაში მეტად გამოიკვეთოს კერძო-სამართლებრივი აქცენტები, ბიუჯეტისა და საფინანსო კონროლთან დაკავშირებული საკითხები იმ დოზით იყოს აქცენტირებული, რაც კერძო სამართლებრივი კონტექსტის საფინანსო სამართლის მიზნებისათვის არის აუცილებელი.
სისხლის სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი.
სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები შეთავაზებულია 108 კრედიტის ფარგლებში.
საერთაშორისო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, საერთაშორისო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 6 კრედიტი.
საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საერთაშორისო სამართლის სფეროში. საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები შეთავაზებულია 66 კრედიტის ფარგლებში.
სამართლის სპეციალობის არჩევითი კურსები
პროგრამის თანახმად სამართლის არჩევითი კურსებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 60 კრედიტი, სტუდენტი არ არის შეზღუდული საგნები აიღოს სხვადასხვა ბლოკიდან. შემოთავაზებული ბლოკებია:
საჯარო სამართლის არჩევითი ბლოკი
კერძო სამართლის არჩევითი ბლოკი
სისხლის სამართლის არჩევითი ბლოკი
საერთაშორისო სამართლის არჩევითი ბლოკი
სამართლის არჩევითი ბლოკი
მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით.
სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისად თავისუფალი 18 კრედიტი სტუდენტს შეუძლია შეივსოს როგორ არჩევითი ბლოკებიდან, ასევე სხვა სამართლის აარჩევით კურსებიდანაც.
პრაქტიკული კომპონენტი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია როგორც სხვადასხვა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტით ასევე პრაქტიკული სასაწავლო კურსებით. პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება პრაქტიკული ხასიათის ისეთ აქტივობებზე, როგორც არის კაზუსების ანალიზი, იმიტირებული პროცესები, როლური თამაშები, სიმულაციები, იურიდიული დოკუმენტების შედგენა/ანალიზი, სასამართლო გადაწყვეტილებათა განხილვა და ანალიზი და სხვა.პრაქტიკული უნარების განთვითარებაზე მაგალითისათვის ორიენტირებულია კურსები, როგორიცაა: სამართლებრივი წერა, პროფესიული ეთიკა, სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, საპროცესო დოკუმენტაციის შედგენის ტექნიკა, სანოტარო სამართალი, ეფექტური მოლაპარაკებების წარმოება - ძირითადი სამართლებრივი და სტრატეგიული ასპექტები, გენდერული თანასწორობა და ანტიდისკრიმინაციული სამართალი, საკანონმდებლო ტექნიკა საჯარო სამართლის არჩევით ბლოკში, სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართლის არჩევით ბლოკში. სასწავლო კურსები ძირითადად 6 კრედიტიანია. რჩება უკმარისობის განცდა რამდენად დასაბუთებულია და გამართლებულია პროგრამის აწყობა სრულად 6 კრედიტიანი საგნებით. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანების გათვალისწინებით, ფორმალური მოთხოვნების მხრივ საჭიროებს უნივერსიტეტის/სკოლის ნორმატიულ ჩარჩოში მოქცევას. სასურველია მოხდეს 6-ის ჯერადი საკრედიტო სისტემის სიღრმისეული და სათანადო დასაბუთება ან სასწავლო კომპონენტების თავისებურებების და დატვირთვის მიხედვით მათი საკრედიტო მოცულობის ინდივიდუალიზაცია. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა აღწერს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სასწავლო კურსების ურთიერთმიმართებას. აღნიშნულ რუკაზე დაყრდნობით, აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუს შედეგებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და პროგრამის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ამასთან, პროგრამის შინაარსის თანმიმდევრობა, „მარტივიდან რთულისკენ“ და თეორიულიდან უფრო პრაქტიკულისკენ განვითარება უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. ამრიგად, წარმოდგენილი პროგრამა მოცულობით და კომპლექსურობით შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაციასთან, ხოლო პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ან/და წესი; • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • გამოკითხვების შედეგები; • ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge

- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საფინანო სამართლის კურსის სილაბუსსა და თემატიკაში მეტად გამოიკვეთოს კერძო-სამართლებრივი აქცენტები, ბიუჯეტისა და საფინანსო კონტროლთან დაკავშირებული საკითხები იმ დოზით იყოს აქცენტირებული, რაც კერძო სამართლებრივი კონტექსტის საფინანსო სამართლის მიზნებისათვის არის აუცილებელი.
- სასურველია მოხდეს 6-ის ჯერადი საკრედიტო სისტემის სიღრმისეული და სათანადო დასაბუთება ან სასწავლო კომპონენტების თავისებურებების და დატვირთვის მიხედვით მათი საკრედიტო მოცულობის ინდივიდუალიზაცია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კრედიტების გაანგარიშების მარეგულირებელი, თუნდაც სარეკომენდაციო მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს დაწესებულების პერსონალს შორის საკრედიტო სისტემის მიმართ სხვადასხვა ხედვებისა და გამოყენების აღმოფხვრას და მონიტორინგის/შეფასების ეფექტური ინსტრუმენტის შექმნას;
- მიუხედავად იმისა, რომ სამართლის სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროსთითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის სამართლის მიმართულების, თითოეული სასწავლო კურსი/შინაარსი, კონკრეტულად, კურსის სწავლის შედეგები, უკავშირდება აღნიშნული პროგრამის სულ მცირე ერთ სწავლის შედეგს და შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს - ბაკალავრიატს და სამართლის დარგობრივ მახასიათებელს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს; ასევე, ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუმცა ზოგიერთ კურსში ლიტერატურა განახლებას საჭიროებს, მაგალითად, შესავალი ვალდებულებით სამართალში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 2001 წლის კომენტარები, სასურველია გამოყენებულ იქნეს და მიეთითოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, კომენტარის ახალი გამოცემა GCCC.GE.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასები; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა ლიტერატურის განახლების მიზნით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამა, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას (იხ. 2.2. პრაქტიკული კომპონენტი); კერძოდ პროგრამა და შესაბამისი კურსები ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. კერძოდ პროგრამის ფარგლებში სტუდენტი სწავლობს ამა თუ იმ სამართლის სფეროში პრობლემების იდენტიფიცირებას და მათი გადაწყვეტის შესაბამისი გზების მოძიებას; ასევე სამართლის ნორმების ინტერპრეტაციასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას, სამართლებრივი დოკუმენტების, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტების მომზადებას, კლიენტთან ინტერვიუსა და კომუნიკაციის წარმართვას. სტუდენტი ასევე სწავლობს საპროცესო უნარებს, მოლაპარაკების უნარებს, სანოტარო დიკუმენტების შედგენას, საკანონმდებლო ტექნიკას. აღნიშნული უნარების სწავლება ხორციელდება როგორც სხვადასხვა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული თემატიკის პრაქტიკული სწავლებით, აგრეთვე პრაქტიკული სასწავლო კურსების შეთავაზებით (პრაქტიკული კომპონენტი/კლინიკა). პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება კაზუსის განხილვის მეთოდიკით სწავლება, იმიტირებული პროცესები, როლური თამაშები, სიმულაციები, იურიდიული დოკუმენტების შედგენა/ანალიზი, სასამართლო გადაწყვეტილებათა განხილვა და ანალიზი და სხვა პრაქტიკული ხასიათის პროექტები. კლინიკურის სწავლების კომპონენტში პრაქტიკულ სწავლებას უწევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი რომელიც შემდგომ აფასებს სტუდენტთა მუშაობას (იხ. გენდერული თანასწორობა და ანტიდისკრიმინაციული სამართალი). პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უზრუნვეყოფს ასევე შესაძლებლობა, რომლის ფარგლებშიც სამართლის სკოლის სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო

იმიტირებულ პროცესში: Telders International Law Moot Court Competition; Willem C. Vis International Commercial Arbitration Moot; ჰუგო ზინსჰაიმერის იმიტირებული სასამართლო პროცესი (რომელსაც 2020 წელს სამართლის სკოლამ უმასპინძლა კიდეც), რომელის ფარგლებშიც განხორციელებული აქტივობა სტუდენტებს ეთვლებათ სასწავლო აქტიოვობად. უსდ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები დამსაქმებელთან, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არის ზოგადი ხასიათის ურთიერთ თანამშრომლობის ჩარჩო და არ უთითებენ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, ასევე, პრაქტიკის მიზანს/მიმართულებას და ხანგრძლივობას. მიუხედავად იმისა რომ პროგრამა არ ითვალისწინებს ე.წ „გარე პრაქტიკას“ რომელიც გულისხმობს განსახორციელებლად რელევანტური პარტნიორი ორგანიზაციებისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირობების განისაზღვრას ურთიერთ თანამშრომლობის დოკუმენტით, რომელიც დეტალურად აღწერდა მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე რომ აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სულისკვეთების გათვალისწინებით სასურველი იქნება ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები; • უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის სულისკვეთების გათვალისწინებით სასურველი იქნება დამსაქმებლებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანმხებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, მიმართულებებსა და დასაქმების სავარაუდო ხანგძლივობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა. სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადად გხვდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ახსნა-განმარტება; შემთხვევის ანალიზი (case study); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; წერითი მუშაობა; დემონსტრირება და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. სწავლა- სწავლების მეთოდების ეფექტიანობის შესამოწმებლად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა. გათვალისწინებულია სტუდენტთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, აკადემიური მომზადების დონის, ადაპტირებული გარემო-შშმ და სსსმ პირებისათვის, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები შესაბამისად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და ამ პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ასევე სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ინსტრუქტორთან და ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში მიიღონ რჩევა, როგორც მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მიიღონ უკუკავშირი წერილობითი ნაშრომის შესახებ. ინტერვიუების ეტაპზე გამოვლინდა, რომ აღნიშნული ონლაინ პლატფორმის შესახებ სტუდენტები ინფორმირებულები არ არიან, პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად კი გამოივკეთა, რომ აღნიშნული ცენტრში კონსულტაციას გასცემენ არა იურისტები, არამედ აკადემიური წერის სპეციალისტები, სასურველია და მეტად რელევანტური იქნება თუ აღნიშნული დაკომპოექტდება იურიდიული სპეციფიკის მცოდნე პირებისგან, რათა მათი უკუკავშირი რელევანტური იყოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის საბაკალავრო პროგრამა; • სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკადემიური წერის ონლაინ პლატფორმის შესახებ სტუდენტების მეტად ინფორმირება, ასევე აღნიშნული დაკომპლექტება იურიდიული სპეციფიკის მცოდნე პირებისგან, რათა მათი უკუკავშირი რელევანტური იყოს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამისაკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისთვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტისშედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომუნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურებისმიხედვით, სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთანშესაბამისი.

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისკრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისმინისტრის ბრძანება #3 2007.05.01). სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანისისტემით, რომელიც შედგება შუალედური და ფინალური შეფასებებისგან. პროგრამაითვალისწინებს 5 სახის დადებით და 2 სახის უარყოფით შეფასებას:

A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობასჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება;

(F)0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებით დგინდება, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

აღნიშნულ პროგრამაზე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის შეფასების ფორმა,კერძოდ: სემინარი, პრეზენტაცია, პროექტი, პრაქტიკული მუშაობა, დისკუსია, კაზუსის ამოხსნა და სხვა. შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის

დონე. წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესში მოქმედებსელექტრონული მართვის სისტემა - „არგუსი", რომელიც სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, თავიდანვე გაეცნოს სილაბუსს, კონცეფციას, შეფასების ძირითად კომპონენტებს და კრიტერიუმებს.შეფასება მრავალ კომპონენტიანია და მასში დეტალურადაა ჩაშლილი ქულათა გადაწილება. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

ამასთანავე, როგორც წესი, ლექტორები უზრუნველყოფენ შეფასების უკუკავშირისმიღების შესაძლებლობას სტუდენტებისთვის, რაც მოქნილად ხორციელდება ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით და საშუალებას აძლევს სტუდენტს, თვალი ადევნოს და დროული რეაგირება მოახდინოს შედეგებზე.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების დროს გამოირკვა, რომ პრაქტიკაში სტუდენტები გვიან იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ; სასურველია ეს გამოსწორდეს და შეფასება განხორციედეს დროულად, რასაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის რეგულაციებიც.

უნივერსიტეტში შემუშავებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდების გასაჩივრების პროცედურა. ინტერვიუირების პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან შეფასების გასაჩივრების პროცედურასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ. სტუდენტის მიერგასაჩივრებული ნაშრომი ფასდება არა თავდაპირველი, არამედ სხვა შემფასებლის მიერ. საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის შეფასების სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად უმნიშვნელოვანესია დროული შეფასების მიღების შესაძლებლობა. შეფასებისთვის ლექტორს აქვს წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული ვადა, რომლის მონიტორინგიც აქტიურად ხორციელდება ადმინისტრაციის მიერ.

ამასთან, დადასტურდა რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. აღნიშნული დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგებით. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლისსაბაკალავროსაგანმანათლებლოპროგრამა;
- სილაბუსები;
- არგუსი - არჩევანისგარემოსუზრუნველყოფისელექტრონულისისტემა: http://argus.iliauni.edu.ge/
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი შესახებ დოკუმენტი
- „აკადემიურიპერსონალისდამასწავლებელთაგანვითარებისცენტრის"დებულება;
- უნივერსიტეტისვებგვერდი.http://iliauni.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სტუდენტებმა დროულად მიიღონ უკუკავშირი, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. თუმცა სილაბუსებით არ არის გათვალისწინებული საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია, რისი გათვალისწინების შემთხვევაშიც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ. უსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით, დამსაქმებელთა, პროფესორ მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვურული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტოირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის, სწავლისა და სასწავლო გარემოს შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა "არგუსი", სადაც ხორციელდება სტუდენტთა რეგისტრაცია სასწავლო კურსებზე, სასწავლო მასალისა და სილაბუსების განთავსება და მათთვის ელექტრონულად მიწოდება. ასევე, "არგუსის" მეშვეობით ხდება მიღებული შეფასებებისა და დაგროვილი კრედიტების შემოწმება სტუდენტთა მიერ. "არგუსის" საშუალებით, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის ხვადასხვა მეთოდით უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ. აქტიურად ხდება კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტისა და "არგუსის" მეშვეობით.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი.

აკრედიტაციის ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია აკადემიური წერის ცენტრის სერვისები, რომელიც მათ სთავაზობს შესაძლებლობას, ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ საჭირო კონსულტაცია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით; ონლაინ რეჟიმში გააგზავნონ საკუთარი წერითი ნაშრომი და მიიღონ უკუკავშირი ტუტორისგან; ონლაინ რეჟიმშივე დარეგისტრირდნენ ცენტრის მიერ შემოთავაზებულ სემინარებზე, ისარგებლონ აკადემიური წერის ცენტრის მიერ შექმნილი სხვა ონლაინ რესურსებით.

ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის მომსახურების შესაძლებლობას, აღნიშნულ ცენტრს შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა სტუდენტმა, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მხარდაჭერა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც ორიენტირებულია უშუალოდ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდაზე სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, დასაქმებისა და კარიერული განვითარების მიზნით, ყოველწლიურად მართავს დასაქმების ფორუმს, ხოლო პროფესიული გამოცდილების ამაღლების მიზნით, ნერგავს საჭირო სტუდენტურ პროექტებს, მართავს მასტერ კლასებსა თუ საჯარო ლექციებს.

უნივერსიტეტი საკმაო ყურადღებას უთმობს სტუდენტების პოზიციებსა და ინიციატივებს, რომელთა გათვალისწინება ხდება პროგრამების გასაუმჯობესებლად. სასწავლო კურსებთან და ლექტორებთან მიმართებაში ტარდება კვლევები, რა დროსაც კითხვარების შევსება ანონიმურია და ნებაყოფლობითი.

რაც შეეხება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალის დატვირთვას, უნივერსიტეტში გამოყოფილია საათები სტუდენტთა კონსულტაციებისათვის და ამგვარი ინდივიდუალური კონსულტაციები იმართება ლექტორთან შეთანხმებით, პროგრამა "არგუსის" საშუალებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ კონსულტაცია ნებისმიერ დროს, მათ შორის, არასამუშაო საათებშიც.

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე. ფაკულტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, სადაც მოკლე ვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია სტუდენტთა სასწავლო მობილობა, შემდგომი გაღრმავება პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური ენის კურსები, ასევე პროფესიული ინგლისურის კურსი.

უნივერსიტეტში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტში, ღონისძიებაში, კონფერენციასა და კვლევაში. ამ მიზნით კი, რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაციაზემოაღნიშნული აქტივობებისა

და შესაძლებლობების შესახებ. მაგ.: “Erasmus +”-ის მეშვეობით, უნივერსიტეტის სტუდენტთათვის უზრუნველყოფილია საერთშორისო მობილობის შესაძლებლობა. საერთაშორისო მობილობა (სტუდენტების და პროფესორების გაცვლა) ხორციელდება სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან. მათ შორისაა: გლაზგოს უნივერსიტეტი - დიდი ბრიტანეთი, გრონინგენის უნივერსიტეტი - ნიდერლანდები, იასის ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი - რუმინეთი, იენის უნივერსიტეტი - გერმანია, ლიმერიკის უნივერსიტეტი - ირლანდია, პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი - საფრანგეთი, სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი - საბერძნეთი, ტურკუს უნივერსიტეტი - ფინეთი, ტუშას უნივერსიტეტი - იტალია, უფსალას უნივერსიტეტი - შვედეთი, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი - ესპანეთი, გრანადის უნივერსიტეტი - ესპანეთი, ვალიადოლიდის უნივერსიტეტი - ესპანეთი, სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტი - ესპანეთი, ფლორენციის უნივერსიტეტი - იტალია, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების უნივერსიტეტი SWPS - პოლონეთი, მინიოს უნივერსიტეტი - პორტუგალია, პორტოს უნივერსიტეტი - პორტუგალია, კოტ დ’აზურის უნივერსიტეტი ნიცაში - საფრანგეთი. უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მათ შორის სხვადასხვა საადვოკატო ბიუროსთან, ასევე საჯარო სამსახურებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას სტაჟირებების გავლისა და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების ჩატარების გზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასებისანგარიში; ● სილაბუსები. ● ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის ვებ გვერდი: www.iliauni.edu.ge ● არგუსი - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა: http://argus.iliauni.edu.ge/ ● სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება; ● საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება; ● საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები; ● აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებ გვერდი: http://writingcentre.iliauni.edu.ge/ ● ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო

შედეგებს იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი 77 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 97. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 1800 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 0,05; აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,011. აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო საფეხურისათვის საშუალო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულიად დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების უმეტესობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტში დანერგილია და წარმატებით მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების, თვითშფასების და განვითარების სქემა, რომელიც ერთი მხრივ ხდება სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას, ასევე თავად აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება, ასევე პერსონალის კმაყოფილების კვლევა. ამასთანავე, ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება მათი პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარებას. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, რომელიც მიმართულია უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისათვის. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი რომელიც ყოველწლიურად ატარებენ სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს აკადემიური,

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის ანგარიში ○ ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტის პროგრამით კმაყოფილების კვლევის მექანიზმი ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის აკადემიური თანამდებობების მქონე პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) საქმიანობის შეფასების წესი. ○ გამოკითხვის ფორმები ○ გამოკითხვის შედეგები ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს იმიტირებული სასამართლო დარბაზი, სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, იმიტირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინფრასტრუქტურის online დათვალიერება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, იგი მომგებიანია და არ უწევს უნივერსიტეტს დოტაციაზე ყოფნა. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის.
სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ბიუჯეტი ემსახურება როგორც აკადემიური/ მოწვეული პერსონალის კვლევების განვითარებას ასევე მობილობის პროცესის ხელშეწყობას და იგი ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებზე. თუმცა ხელფასის ხვედრითი წილი სამართლის სკოლის ბიუჯეტში შეადგენს 980,800 ლარს (94,7%-ს) 1,035,000 ლარიდან. პროექტების დაფინასებაზე კი გათვალისწინებულია მხოლოდ 10,000 ლარი, რაც პროპორციულად მცირე თანხაა და შეადგენს მთლიან ბიუჯეტის 0,97%-ს. თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ განვითარებისათვის გათვალისწინებული დამატებითი დაფინასება (16,000 ლარი) გათვალისწინებულია არა ფაკულტეტის არამედ უნივერსიტეტის ბიუჯეტში. თუმცა ერთობლიობაშიც ამ თანხის ოდენობა არ სცდება სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) მთლიანი ხარჯის 2,88%-ს; უნივერსიტეტს მოპოვებული აქვს გრანტები, რომელიც გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის მაგრამ ასახული არაა ბიუჯეტში. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლისა და ადამიანის უფლებების კლინიკა, რომელიც ფოკუსირებულია საკონსტიტუციო სამართლისა და ადამიანის უფლებების სფეროში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და სოციალურად დაუცველი, დისკრიმინაციის ან/და ძალადობის მსხვერპლი მოქალაქეების საქმეების სამართალწარმოებაზე, დაფუძნდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID/PROLoG)პროგრამის თანამშრომლობის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ სკოლის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;

• ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გაიზარდოს სამართლის საბაკალავრო პროგრამის დაფინასებაში სასწავლო რესურსების, კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო სტატიების, სპორტული და სხვა კურიკულუმის გარეშე ღონძიებების, სტიპენდიების/შეღავათების და გაცვლითი პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგები წარედგინება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს. წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია გამოკითხვის ფორმები და მაგალითად, კურსდამთარებულთა კვლევის ანგარიშები. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სწავლის ხარისხის შეფასების მექანიზმი.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექანიზმები წარმოდგენილია, როგორიც არის კითხვარები, თუმცა, გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, ფაქტობრივად, კურსდამთავრებულებთან და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებასთან მიმართბით არსებობს. სასურველია, სხვა მიმართულებებითც ანალოგიური მიდგომა იქნეს გამოყენებული სამომავლოდ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- გამოკითხვის ფორმები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- სერვისების შეფასება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექანიზმები წარმოდგენილია, როგორიც არის კითხვარები, თუმცა, გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, ფაქტობრივად, კურსდამთავრებულებთან და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებასთნ

მიმართბით არსებობს. სასურველია, სხვა მიმართულებებითც ანალოგიური მიდგომა იქნეს გამოყენებული სამომავლოდ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების ფორმად, აკრედიტაციის სტანდარტის თანახმად, აღებულია ეროვნული ან/და საერთაშორისო აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები. შესაბამისად, სასურველი იყო, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი ბოლო აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ასევე, გარე კოლეგიალური შეფასება აუცილებლად უნდა იქნეს გამიჯნული ხარისხის გარე შეფასება-მონიტორინგისაგან. ვინაიდან გარე ხარისხის შეფასების სტანდარტის დაკმაყოფილებისათვის არსებითია, აღნიშნული შეფასების პროცესში ობიექტური გარეშე პირის/ექსპერტის შესაბამისი დასკვნის არსებობა და დასკვნის საფუძველზე არსებული რეკომენდაციების შესაბამისი ასახვა პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე ხარისხის შეფასების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში:

რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება ასახული იყოს თვითშეფასების ანგარიშში. • საბაკალავრო პროგრამის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა იზრუნოს გარე ხარისხის შეფასებაზე, რათა პროგრამაფასდებოდეს მესამე პირის მხრიდან პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ზოგადად, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის მონიტორინგის ფორმატში, დაწესებულება, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს ლექციაზე დაკვირვების ფორმას. სტუდენტების მხრიდან ხორციელდება სერვისების შეფასება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი შიდა მექანიზმები წარმოდგენილია, როგორიც არის კითხვარები, თუმცა, გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, ფაქტობრივად, კურსდამთავრებულებთან და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებასთან მიმართბით არსებობს. სასურველია, სხვა მიმართულებებითც ანალოგიური მიდგომა იქნეს გამოყენებული სამომავლოდ. თუმცა, პროგრამის შინაარსისა თუ სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის მიზნით, არ არის შესრულებული ისეთი მნიშვნელოვანი კვლევა, როგორიც უცხო პროგრამებთან დადარება და დადარების შედეგების ანალიზია, რაც გამოყენებულ იქნებოდა პროგრამის განვითარების მიზნით, ბუნებრივია, თუ ასეთი საჭიროება დადარების შედეგების მიხედვით გამოვლინდებოდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოიყენება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთანი ნდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან მოსახლიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



გიორგი მახარობლიშვილი

სოფიო ჩაჩავა

ნინო ხუბულია